

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნატო ჯავახიშვილი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განვითარებადი
ქვეყნებისადმი გაწერილი დახმარებების არაეფექტიანობის
მიზეზები: ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის მაგალითების
მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

ნაშრომი ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებებსა და პოლიტიკას 1990-იანი წლების ფინანსური კრიზისების დროს. განხილულია სამი სახელმწიფოს - ეთიოპია, ინდონეზიისა და ტაილანდის ფინანსური კრიზისები, სადაც აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ნაშრომში მიმოხილულია ამ სამი სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები, რომელიც პრობლემის მოსაგვარებლად იყო გამიზნული. ასევე დეტალურადაა აღწერილი თუ რა შეცდომები დაუშვა სავალუტო ფონდმა და რა ხარვეზები ჰქონდა მის პოლიტიკას ამ ქვეყნებთან მიმართებაში. ნაშრომის მიზანია დაასაბუთოს, რომ სავალუტო ფონდის მცდელობის მიუხედავად, დახმარებოდა ამ სახელმწიფოებს, მათი მხრიდან დაშვებული იქნა შეცდომები და გატარებული იქნა არასწორი პოლიტიკა, რის გამოც მოკლე დროში ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება. ჩემს ნაშრომში საკვლევი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: რამ განაპირობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაეფექტიანობა ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ეკონომიკური კრიზისის დროს? რაც შეეხება ჰიპოთეზას, იგი მდგომარეობს შემდეგში: სამი სახელმწიფოს მაგალითის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებების არაეფექტიანობა გამოიწვია ფონდის მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ, რომელიც არ ითვალისწინებდა ამ ქვეყნების სპეციფიკას.

Abstract

The following paper focuses on International Monetary Fund's (IMF) actions and general policy during the financial crisis of 1990s. Research intends to analyze the cases of three countries – Ethiopia, Indonesia and Thailand – who were badly influenced by the crisis. The economic conditions of the aforementioned states as well as IMF's actions are the major subjects to be discussed through the research. In addition, paper indicates the mistakes and decision made by IMF, and argues that despite IMF's efforts of assisting these countries in overcoming the financial crisis, the organization's policy was wrong and ineffective. The Research Question is formulated following way: Why was International Monetary Fund's policy ineffective in overcoming economic crisis in Ethiopia, Indonesia and Thailand? The paper supports following hypothesis: International Monetary Fund's policy towards Ethiopia, Indonesia and Thailand was ineffective, because of the organization's wrong decisions, which did not foresee the countries individual and specific needs.

სარჩევი:

1. შესავალი.....	4
2. მეთოდოლოგია.....	7
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
4. თეორია.....	10
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი.....	14
6. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სესხის გაცემის პროცედურები.....	15
7. ეთიოპია.....	18
8. ინდონეზია.....	21
9. ტაილანდი.....	23
10. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა და ქმედებები ეთიოპია, ინდონეზიასა და ტაილანდში.....	25
11. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებული შეცდომები და მათი განმაპირობებელი მიზეზები.....	26
12. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომების ახსნა გადაწყვეტილების მიღების თეორიით.....	35
13. დასკვნა.....	38
14. ბიბლიოგრაფია.....	44
15. დანართი.....	47

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მრავალი მიზეზის გამო. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეკონომიკა განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქმედებებს საერთაშორისო სისტემაში. ყველა სახელმწიფო ცდილობს ეკონომიკური სიძლიერის მოპოვებას, რადგან სწორედ ეკონომიკური სიძლიერე განაპირობებს შემდეგში პოლიტიკურ თუ სამხედრო ძლიერებასა და შესაძლებლობებს. ნათელია, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს ეკონომიკური საკითხები განსაზღვრავს, ისინი საკმაოდ მჭიდროდ არიან ურთიერთდამოკიდებული ერთმანეთზე. ამასთანავე, ქვეყნებს შორის დაპირისპირებებიც ყველაზე ხშირად ეკონომიკური საკითხების გამო ხდება.

გლობალიზაციამ 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა, რაც აისახება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მრავალ ასპექტში. მათ შორისაა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და ზრდის ტემპები.

სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს საერთაშორისო სისტემაში, განსაზღვრავს მისი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის დონეს და ასევე გავლენას ახდენს რეგიონში და ზოგ შემთხვევაში მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მოვლენებზე.

როგორც უკვე ვახსენე, იმის გამო, რომ სახელმწიფოები ეკონომიკურ საკითხებში მეტად ურთიერთდამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება შესაძლოა სხვა ქვეყნებზეც აისახოს. რაც შეეხება ეკონომიკურ კრიზისს, ურთიერთდამოკიდებულების პერიოდში, ხშირ შემთხვევაში იგი ადვილად ვრცელდება მეზობელ სახელმწიფოებზე და მხოლოდ ერთი სახელმწიფოს პრობლემას არ წარმოადგენს.

ეკონომიკური კრიზისი იმდენად სასიცოცხლო მნიშვნელობის და რთული გადასალახია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ კრიზისში მყოფი სახელმწიფოები დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ არსებული რთული მდგომარეობიდან გამოსვლას და საჭირო ხდება ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება.

ისეთი საერთაშორისო თუ რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონტი (IMF), მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), აფრიკის განვითარების ბანკი (AFDB) და სხვა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაში, ეკონომიკური კრიზისების დაძლევაში და ზოგადად მსოფლიო პოლიტიკაში.

მნიშვნელოვანი თემაა ის, თუ როგორ ცდილობენ საერთაშორისო ორგანიზაციები კრიზისში მყოფი სახელმწიფოების დახმარებას, როგორ პოლიტიკას ატარებენ ისინი ამ სახელმწიფოებთან მიმართებაში და რა როლი უკავიათ მათ მდგომარეობის დასტაბილურებაში.

ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აქტიურადაა ჩართული სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარებისა თუ კრიზისების დაძლევის პროცესში, არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, თუ რა შეცდომები დაუშვა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და რატომ იყო მისი პოლიტიკა არაეფექტიანი სამი სახელმწიფოს მაგალითის მიხედვით (ეთიოპია, ინდონეზია, ტაილანდი).

ნაშრომის მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რამ განაპირობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაეფექტიანობა ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ეკონომიკური კრიზისის დროს?

რაც შეეხება ჰიპოთეზას, იგი ფორმულირდება შემდეგნაირად: სამი სახელმწიფოს მაგალითის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებების არაეფექტიანობა გამოიწვია ფონდის მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ, რომელიც არ ითვალისწინებდა ამ ქვეყნების სპეციფიკას.

ეს ჰიპოთეზა შეიძლება აიხსნას დაქვემდებარების თეორიით. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ამ სახელმწიფოებში ეკონომიკური კრიზისი გახანგრძლივდა იმის გამო, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებული პოლიტიკა არ იყო ამ სახელმწიფოებზე მოგრგებული. ასევე ფონდის მოთხოვნით ამ სახელმწიფოებს დაევალიათ ლიბერალიზაცია და რესტრუქტურისაცია, რაც იმ პერიოდში და იმ რთულ მდგომარეობაში ნაადრევი იყო.

დამოუკიდებელი ცვლადი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა

დამოკიდებული ცვლადი: სამი სახელმწიფოს (ეთიოპია, ინდონეზია, ტაილანდი) ეკონომიკური კრიზისი.

ამ შემთხვევაში არასწორ პოლიტიკაში იგულისხმება პირველ რიგში ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა არ იყო ამ სახელმწიფოებზე მოგრგებული, ასევე კრიზისის სიმწვავე და მნიშვნელობა არ იყო სათანადოდ შეფასებული ფონდის მიერ, პრივატიზაციისა და ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე ლიბერალიზაციის პროცესი მოთხოვნილი იყო სწრაფ ტემპებში. მნიშვნელოვან ხარვეზებში ასევე უნდა გამოვყოთ ფონდის მიერ სოციალური ფაქტორებისა უგულებელყოფა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი უფრო და უფრო მეტ თანხებს გამოყოფდა ამ სახელმწიფოებისთვის სესხის სახით, რისი მეშვეობითაც უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებოდნენ ეს ქვეყნები სავალუტო ფონდზე.

რაც შეეხება კრიზისის გაღრმავებას, ამ სახელმწიფოებში გაუარესდა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, კაპიტალი და ინვესტიციები გაედინებოდა მასიურად, შეინიშნებოდა ინფლაციის მაღალი დონე, შემცირდა მშპ-ს მაჩვენებელი და ა.შ.

მე ვფიქრობ, რომ კრიზისის გაუარესების მრავალი მიზეზი არსებობს: ერთის მხრივ პრობლემა სწორედ განვითარებად სახელმწიფოებშია, კერძოდ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობაში. მეორეს მხრივ, პრობლემა მდგომარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებულ პოლიტიკაში, ხდება ეკონომიკური დახმარებების არასწორად მიმართვა და გადანაწილება, ასევე საკუთარი და წამყვანი სახელმწიფოების ინტერესების გატარება.

2. მეთოდოლოგია

კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება საკითხის დეტალურად შესწავლა.

თეორიული ჩარჩო, რომელიც ავირჩიე კვლევის ჩასატარებლად არის ე.წ Case Study. დეტალურად განვიხილე სამი სახელმწიფოს, ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ეკონომიკური კრიზისი, კრიზისის დაწყების მიზეზები, მისი განვითარება თუ კრიზისიდან თავის დაღწევის გზები. ასევე განვიხილე საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამოკიდებულება, პოლიტიკა და ქმედებები ამ ქვეყნებთან მიმართებაში.

დისკურსის ანალიზის მეთოდის გამოყენებით განვიხილე ამ საკითხთან დაკავშირებული სტატიები, გავეცანი ექსპერტების აზრსა და დამოკიდებულებას, საჯარო დოკუმენტებსა და ნიუსებს. ასევე ყურადღება გავამახვილე ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლების ინტერვიუებზე და მათ მოსაზრებებზე.

კვლევის ჩასატარებლად საჭირო გახდა თვისობრივი კონტენტ ანალიზი და რიტორიკის ანალიზი. ამის მიხედვით ხდება მხარეების მხრიდან მნიშვნელოვანი და ძირითადი

დამოკიდებულებისა და იდეების იდენტიფიცირება. კონტენტ-ანალიზისა და რიტორიკის ანალიზის დახმარებით, საშუალება გვეძლევა უკეთ შევისწავლოთ პრობლემის არსი, ავხსნათ იმ დროისთვის მიმდინარე პროცესები და გამოვიტანოს შესაბამისი დასკვნები.

3. ლიტერატურის მიმოხილვა.

უამრავი წიგნი თუ სტატიაა დაწერილი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მის პოლიტიკასა თუ ქმედებებთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ შეცდომებსა და ხარვეზებზე, რომელიც ჰქონდა სავალუტო ფონდს. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ხაზს უსვამს სავალუტო ფონდის მხრიდან სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის შედეგისმომტანი პოლიტიკის გატარებას. თუმცა, სამხუბაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესოვა აღიარებს ფონდის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

ერთ-ერთი მკვლევარია ჯეიმს რეიმონდ კრინელდი. 2003 წელს გამოვიდა მისი წიგნი, სახელწოდებით „საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური განვითარება“. მის ნაშრომში მთავარ კითხვას წარმოადგენს, თუ რატომ იხმობენ სახელმწიფოები სავალუტო ფონდს, რა გავლენას ახდენს იგი ამ სახელმწიფოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ზოგადად რა ეფექტები აქვს მას. წიგნში ვრილენდი ამტკიცებს, რომ მთავრობები უერთდებიან სავალუტო ფონდის პროგრამებს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო. ავტორს მიაჩნია, რომ სავალუტო ფონდის მიერ გაწეული რეკომენდაციები და პროგრამები უარყოფით გავლენას ახდენენ ამ სახელმწიფოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით, მთავრობები ქმნიან პოლიტიკურ ბერკეტებს - პირობითობების მეშვეობით - რათა გადაფარონ მათ მიერ წარმოებული არაპოპულარული პოლიტიკა. ავტორი აკრიტიკებს სავალუტო ფონდის პროგრამებს და თვლის, რომ მსგავსი სახის პროგრამები ზრდის შემოსავლების უთანასწორობის დონეს. (Vreeland, 2003.)

ჯოზეფ სტიგლიცი, თავის წიგნში „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ საუბრობს იმ შეცდომებზე, რომელსაც უშვებდა სავალუტო ფონდი კრიზისების დროს. სტიგლიცს დეტალურად აქვს აღწერილი ინდონეზიის, ეთიოპიისა და ტაილანდის მდგომარეობა ფინანსურ კრიზისამდე და კრიზისის დროს. ამასთანავე ავტორი საუბრობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებებზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სტიგლიცი ბევრს საუბრობს და დეტალურად გაიხილავს იმ შეცდომებს რაც დაუშვა სავალუტო ფონდმა და თავის მოსაზრებას მაგალითების დახმარებით ამყარებს. ავტორი საუბრობს იმაზე, თუ როგორი სახის პოლიტიკა უნდა გაეტარებინა სავალუტო ფონდს დადებითი შედეგების მისაღებად. იმის მიუხედავად, რომ სტიგლიცი ამ სახელმწიფოების ქეისებიდან გამომდინარე აკრიტიკებს საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ასევე უყურადღებოდ არ ტოვებს იმ შემთხვევებს, როდესაც სავალუტო ფონდის პოლიტიკა იყო წარმატებული და დადებითი შედეგის მომტანი. კრიტიკის მიუხედავად, ავტორი ზოგ შემთხვევაში იზიარებს ფონდის მოსაზრებებს (სტიგლიცი, 2012).

2012 წლის ნოემბერში ჯოზეფ პ. ჯოისმა გამოაქვეყნა წიგნი, სახელწოდებით “The IMF and Global Financial Crises: Phoenix Rising?” რომელიც ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკასა და ქმედებებს კრიზისების დროს. ავტორი განიხილავს 2008-2009 წლების გლობალურ კრიზისებს და ხაზს უსვამს იმ ცვლილებებს, რომელიც განიცადა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1980-1990-იანი წლებიდან 2008-2009 წლებამდე.

ანალიზი მოიცავს 1980-იანი წლების, ასევე 1990-იანი და 2000-იანი წლების კრიზისების დროს ფონდის პოლიტიკისა და ქმედებების ახსნას და ამ პერიოდში ფონდის ევოლუციას.

ყოველთვის საინტერესოა იმ ადამიანების მოსაზრებები, რომლებიც ინდონეზიის, ეთიოპიისა და ტაილანდის ფინანსური კრიზისების დროს მუშაობდნენ სავალუტო ფონდში. სტენლი ფიშერი 1994 წლიდან 2001 წლამდე იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. მისი სტატიები მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი მონაწილე იყო იმ პოლიტიკის ჩამოყალიბების, რომელიც შეიმუშავა ფონდმა 1990-იანი წლების კრიზისების დროს.

სტენლი ფიშერის სტატიებზე დაყრდნობით, პატრიკ ქონვეიმ გამოაქვეყნა წიგნი “The International Monetary Found in a Time of Crisis: A Review of Stanley Fischer’s IMF Esseys from a Time of Crisis: The International Financial System, Stabilisation and Development”. წიგნში პატრიკ ქონვეი ფიშერის სტატიების დახმარებით ცდილობს ახსნას და დაიცვას კრიზისების დროს სავალუტო ფონდის ქმედებები და ინიციატივები. ავტორი ლოგიკურად ხსნის ფონდის მიერ გატარებულ პოლიტიკას. (Conway, 2006, pp.117-144)

აუცილებელი ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებზე. 1999 წელს გამოქვეყნდა ენდრიუ ბერგის მიერ დაწერილი დოკუმენტი სახელწოდებით „აზიის კრიზისი: მიზეზები, პოლიტიკური რეაგირება და შედეგები“ (Asian Crisis: Causes, Policy Responses and Outcomes). დოკუმენტში განხილულია ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები, აღწერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან შემუშავებული პოლიტიკა და რა შედეგი მოიტანა ამ პოლიტიკამ. დოკუმენტის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება იყო ქმედითუნარო და არ შეეძლოთ შეეჩერებინათ კაპიტალის სწრაფი გადინება. ეს დოკუმენტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თავად ამ სახელმწიფოებში იყო პრობლემა, ამ სახელმწიფოებს ქონდათ სუსტი ფინანსური ინსტიტუტები და ეს იყო მიზეზი ფინანსური კრიზისის გამწვავების. ავტორი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული პოლიტიკა არ იყო არასწორი და მდგომარეობის დამძიმების მიზეზები ამ სახელმწიფოების შიგნით იყო. (Berg, 1999).

4. თეორია

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია თეორიებს. თეორიების დახმარებით ხდება ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის ანალიზი და ახსნა, რაც მომავალში ეხმარება სახელმწიფოს პოლიტიკის გატარებასა თუ

სხვადასხვა ქმედებების დაგეგმვაში. ასევე თეორიების დახმარებით შესაძლოა წინასწარ განსაზღვრო მომავალი საფრთხეები და მიიღო შესაბამისი ზომები.

ჩემს კვლევაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიას, რომლის მიხედვითაც შევეცდები ავხსნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები ამ კონკრეტულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

1950-იანი წლების ბოლოს დაიწყო გადაწყვეტილების მიღების თეორიის შემუშავება და განვითარება. მკვლევართა შორის ყველაზე გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ რიჩარდ სნაიდერი, ჩესტერ ბერნარდი და ჰელბერტ საიმონი. ჩესტერ ბერნარდისა და ჰელბერტ საიმონის თეორია ძირითადად შემუშავებული იყო საჯარო ადმინისტრაციისათვის, ხოლო რიჩარდ სნაიდერმა თავისი თეორია საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის განხრით განავითარა.

1950 წლების შუა პერიოდიდან 1950-იანი წლების ბოლომდე რიჩარდ სნაიდერმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები, რაც მიზნად ისახავდა პროპაგანდა გაეწია და წინ წამოეწია გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა.

მისი გადაწყვეტილების მიღების თეორია შეიძლება ახსნილი იყოს რამოდენიმე კუთხით:

✚ დევიდ ესტონის ზოგადი სისტემური თეორია და გაბრიელ ელმონდის სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა და სხვა მონათესავე თეორიები მეტნაკლებად **სტატიკური** ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თეორიები ეხება იმ ელემენტებს, რომლებიც არადინამიურია. რაც შეეხება სნაიდერის მოსაზრებას, ის მიიჩნევს, რომ საზოგადოება არა მხოლოდ კომპლექსური, არამედ დინამიურია. (Snyder, Bruck, Sapin and Hudson, 2002, p.154)

სნაიდერი ამტკიცებს, რომ მის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილების მიღების თეორია დინამიურია. მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირები იღებენ გადაწყვეტილებას, ისინი ითვალისწინებენ ყველა, ან უმეტეს გარემოებებსა და ფაქტორებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების მიმღებნი შეცდომას

დაუშვებენ ამ კუთხით და არ გაითვალისწინებენ დეტალებს ფაქტორებისა და გარემოებების შესახებ, გადაწყვეტილება არ იქნება სანდო, ოპტიმალური და მისაღები.

✚ სნაიდერის მტკიცებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, გადამწყვეტ და სასიცოცხლო როლს თამაშობს ნებისმიერი ორგანიზაციისა თუ სამთავრობო დეპარტამენტის მართვისას. თუმცა, სამწუხაროდ არავინ ამახვილებდა ყურადღებას დეტალების კონცეფციის ანალიზზე და მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში ჰელბერტ საიმონმა და ს.ი ბერნარდმა განავითარეს გადაწყვეტილების მიღების კონცეფცია.

სნაიდერი ყურადღებას ამახვილებს ორ მნიშვნელოვან პუნქტზე:

1. გადაწყვეტილების მიღება ასრულებს იმდენად მნიშვნელოვან როლს ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ სამთავრობო დეპარტამენტში, რომ არანაირად არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება და უგულვებელყოფა.
2. იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო (ყოვლისმომცველი) თეორია დამყარებულია ემპირიულ და სამეცნიერო მეთოდებზე, აუცილებელია მოხდეს მისი განხილვა და განვითარება. (Policital Science. Decision-Making Theory)

✚ ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის სხვადასხვა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მმართველობაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს ყველა მათგანს (ან თითქმის ყველას) ანალიზის ორბიტაზე.

სნაიდერი მიიჩნევს, რომ ყველა საზოგადოებაში არსებობს პოლიტიკური ქმედება და ამ პოლიტიკური ქმედებების უკან არის ადამიანის საქმიანობის როლი. სწორედ ეს ქმედებებია დაკავშირებული პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან. ის, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების მართვა, ან როგორ უნდა მოხდეს სამთავრობო დეპარტამენტის მართვა დაკავშირებულია იმ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც მიღებულია ადამიანების მიერ.

პოლიტიკის შექმნის პროცესის ანალიზი გვეხმარება, რომ მივიღოთ ინფორმაცია საზოგადოებაში არსებული დინამიკის შესახებ, რაც დაგვეხმარება მომავალი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. იმის გამო, რომ საზოგადოება ყოველთვის განიცდის ცვლილებებს, დიდი ალბათობა არსებობს იმის, რომ დღევანდელი პოლიტიკა შეუსაბამო იყოს მომავლისთვის.

განსხვავებული ელემენტები, როგორც არის ეკონომიკური ფაქტორები, პოლიტიკური მოვლენები, სამთავრობო დეპარტამენტები თუ ორგანიზაციები აქტიურად ან პასიურად არიან ჩართული სოციალურ აქტივობებში. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სიტუაციები, სხვადასხვა ფაქტორები, ელემენტები, პროცესები და ადამიანები. (Snyder, Bruck, Sapin and Hudson, 2002, p.208)

სწრაფი თავის თეორიაში ყურადღებას ამახვილებს ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებაზე. მას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები და შესაფერისია ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის, შეიძლება არ იყოს შესაბამისი სხვა ქეისის შემთხვევაში.

სწრაფი გამოყოფს სამ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე:

- საზოგადოების შიდა გარემო - მრავალ ელემენტს შეიცავს, მათ შორის სოციალური ორგანიზაციების (როგორებიცაა მაგალითად პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და სხვა) ბუნება და ფუნქციონირება. ეს ელემენტები დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. გარემო, რომელშიც ხდება გადაწყვეტილების მიღება, მნიშვნელოვანია პოლიტიკის შექმნისთვის.
- როდესაც გადაწყვეტილების მიმღები გეგმავს პოლიტიკას ან იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, მან უნდა გაითვალისწინოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისობა და უნდა გამორიცხოს კონფლიქტისა თუ უარყოფითი შედეგის შესაძლებლობა. ამ

შემთხვევაში პირადი სურვილები და პიროვნული, ინდივიდუალური გრძნობები უნდა იყოს უგულვებელყოფილი.

- როდესაც ორგანიზაციაში, თუ სხვადასხვა ინსტიტუტებში ხდება გადაწყვეტილების მიღება, არცერთი პრობლემისა თუ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა არ უნდა მოხდეს მოუმზადებლად და დაუფიქრებლად.

სნაიდერი საუბრობს კომუნიკაციასა და საინფორმაციო ქსელზე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. იგი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციისა და არსებული მონაცემების მნიშვნელობაზე. (Snyder, Bruck, 2002)

5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიც მეორე მსოფლიო ომის დროს ბრეტონ ვუდსში, ნიუ ჰემფშირში, 1944 წელს შეიქმნა გაეროს სავალუტო და საფინანსო კონფერენციის შედეგად. ეს კონფერენცია წარმოადგენდა ერთობლივ მცდელობას მომხდარიყო გამანადგურებელი ომის შემდგომ ევროპის ხელახალი აშენებისთვის საჭირო თანხების მობილიზება და მსოფლიოს დაცვა მომავალი ფინანსური დეპრესიისგან. (სტიგლიცი, 2012, გვ.17)

1980-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დიდი და მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, თავდაპირველად იგი ემყარებოდა რწმენას, რომ საბაზრო ეკონომიკა ხშირად წარუმატებლად მუშაობდა. საჭირო იყო საერთაშორისო ზეწოლა იმ ქვეყნებზე, რომლებიც საკუთარ ეკონომიკასა და გლობალური ერთობლივი მოთხოვნის დაგროვებაზე არ ზრუნავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ეკონომიკას დადმასვლა დაემუქრებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი გასცემდა სესხებს ლიკვიდური უზრუნველყოფით. ცვლილებები გამოიწვია რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეთჩერის მიერ განხორციელებულმა პროპაგანდამამერიკის შეერთებულ

შტატებსა და დიდ ბრიტანეთში, რომელიც ეხებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკას. აღნიშნული პროპაგანდის შედეგი იყო ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი გახდნენ ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც გაატარებდნენ მსგავს იდეებს ისეთ სახელმწიფოებში, რომლებსაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდათ და საჭირო იყო სესხებისა თუ სხვა ფინანსური დახმარებების მიღება რთული ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურებისათვის. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი გახდა კრიზისების დროს სახელმწიფოების დახმარება. იმის გამო, რომ განვითარებად, ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებს მუდამ სჭირდებოდათ დახმარებები ეკონომიკურ საკითხებში, ეს ორი ორგანიზაცია გახდა ამ სახელმწიფოების განუყოფელი ნაწილი.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა იმპერიალისტური პოლიტიკის გატარება ამჯობინა და თვლიდა, რომ ნებისმიერი საკითხი შედიოდა მათ კომპეტენციაში და მსოფლიო ბანკისგან განსხვავებით არ განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა მაგალითად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შესაფერისი ეკონომიკური წყობის შერჩევა კონკრეტული სახელმწიფოსათვის. (სტიგლიცი, 2012, გვ.22)

5.1 საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სესხის გაცემის პროცედურები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა და მის შემადგენლობაში 188 გაეროს წევრი ქვეყანა შედის. მათ შორის ე.წ. „ათთა ჯგუფია“ ძირითადი ნაწილი, რომელიც აყალიბებს ფონდის სავალუტო პოლიტიკას. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ საკითხი პრიორიტეტული და ძალიან მნიშვნელოვანია, საჭიროა ხმების 85%-ის მიღება.

სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე და სავალუტო შესაძლებლობები განსაზღვრავს ხმების გადანაწილებას. ცხადია, რომ განვითარებულ სახელმწიფოებს უფრო მეტი გავლენა აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, მათი წილი ფონდის კაპიტალის დაახლოებით 60%-ს შეადგენს. თავდაპირველად ყველა სახელმწიფოს აქვს თანაბარი რაოდენობის ხმა, რომელიც 250ს შეადგენს თუმცა ყოველ დამატებულ 100 000 დოლარზე სახელმწიფო იღებს დამატებით ერთ ხმას.

სავალუტო ფონდის წევრებს ფონდში შეაქვთ კვოტური შენატანები. აღნიშნული შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. 1970 წლიდან ფონდი უშვებს საერთაშორისო საკრედიტო საშუალებებს - ე.წ. ვალუტის “სასესხო სპეციალურ უფლებებს”, რომლებიც ფონდის წევრებს შორის მათი კვოტების პროპორციულად ნაწილდება. კვოტების გაანგარიშება ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებზე, სავალუტო რეზერვების სიდიდესა და საგარეო ვაჭრობის მოცულობაზეა დამოკიდებული. კვოტები ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გადაიანგარიშება. ყველაზე მეტი კვოტა გააჩნია აშშ-ს, ეს განაპირობებს ფონდში მის ჰეგემონობას და შესაბამისად ფონდის გადაწყვეტილებებზე მის უპირობო გავლენას. აშშ-ს წილი ფონდის კაპიტალში 1980-იანი წლების დასაწყისში ყველა შენატანის 1/5-ს შეადგენდა, მაშინ როცა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნების წილად მოდიოდა მხოლოდ 30%-ზე ოდნავ მეტი. სწორედ ეს შენატანები წარმოადგენს ფონდის ძირითად კაპიტალს. ფონდი უფლებამოსილია ამ ფინანსური რეზერვებიდან სესხი გასცეს წევრ ქვეყნებზე. (IMF 2011, p.3-5)

სახელმწიფოს შეუძლია ავტომატურად მიიღოს კრედიტი მხოლოდ იმ რაოდენობის, რომელიც შეეფარდება მის „ოქროს წილს“. კრედიტები ფონდის წევრ ქვეყანას ეძლევა მისთვის საჭირო უცხოური ვალუტის მიყიდვის გზით, რაშიც ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული ვალუტა. სესხის ვადის ამოწურვის შემდეგ მიდის უკუგაყიდვა. იმის გამო, რომ მსესხებელ ქვეყანას არ გააჩნია უცხოური ვალუტა, ეს ოპერაცია კრედიტის სახეს იღებს. ოპერაციებისთვის ფონდი საკომისიოს გარიგების თანხის 0.5% სახით იღებს. საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება საბაზრო კვოტირებას.

ფონდის საკრედიტო მექანიზმი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ✚ სარეზერვო წილების მექანიზმი - ქვეყნის მიერ თავისი ფულის დროებით აღება გადასახადის, საკომისიოსა და პროცენტების დარიცხვის გარეშე.
- ✚ საკრედიტო წილების მექანიზმი - ფონდის საერთო რესურსების გამოყენების მექანიზმი.
- ✚ შეთანხმებები სარეზერვო კრედიტებზე - შეთანხმების პერიოდში, განსაზღვრული თანხის მოცულობით საკრედიტო ხაზინის გახსნა, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ფონდის მიერ წამოყენებული მაკროეკონომიკური პირობები.
- ✚ გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმები - საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით საშუალოვადიანი პროგრამების დაფინანსება. იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიიღოს ამგვარი დაფინანსება, თავდაპირველად მან უნდა წარადგინოს სირთულეების დაძლევის პროგრამა.

ამასთანავე, ფონდს ასევე გააჩნია სპეციალური საკომპენსაციო მექანიზმები, საგანგებო დახმარების მექანიზმი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების დახმარების მექანიზმი. (IMF, 2011, p.5, p.22)

რაც შეეხება ფონდის სტრუქტურას, მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო და ის ქმნის და განაგებს ფონდის პოლიტიკას. მმართველთა საბჭოში შედიან წევრი სახელმწიფოების მიერ 5 წლის ვადით არჩეული მმართველი და მისი მოადგილეები, წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები ან ცენტრალური ბანკის მმართველები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს სესია იკრიბება წელიწადში ერთხელ, სესიაზე ამტკიცებენ ფონდის საქმიანობას და წლიურ ანგარიშს, განიხილივენ განცხადებებს ახალი წევრების მიღებისა და გარიცხვის შესახებ, საწესდებო კაპიტალის ცვლილების საკითხებს და ა.შ

აღმასრულებელი საბჭო განაგებს ფონდის ყოველდღიურ სამუშაო პროცესს, რომელიც ნიშნავს დირექტორ-განმკარგულებელს. მის შემადგენლობაშიც შედის 22 დირექტორ-

აღმასრულებელი. მათგან ექვსს ნიშნავენ უდიდესი კვოტის მქონე ქვეყნები, 16–ს დანარჩენი წევრი ქვეყნები გეოგრაფიული წარმომადგენლობების პრინციპის მიხედვით. არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ. საბჭოს მეთაურობს თავმჯდომარე. დირექტორ–განმკარგულებელი დირექტორატის თავმჯდომარე და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ადმინისტრაციული პირია. (IMF, 2011, p.28)

6. ეთიოპია

1990-იანი წლებისთვის ეთიოპია ერთ-ერთ უღარიბეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. 1997 წლისთვის ეთიოპიაში წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 110 დოლარს წარმოადგენდა. ქვეყანა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო განმეორებადი გვალვისა და შიმშილობის გამო, რამაც ორ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ პერიოდში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო მელ ზენავი, რომელიც ჩვიდმეტწილან პარტიზანულ ომს აწარმოებდა მერგისტუ ჰეილ მარიამის სისხლიანი მარქსისტული რეჟიმის წინააღმდეგ. 1991 წლიდან მელეს ძალები მართავდნენ სახელმწიფოს და დაიწყეს სახელმწიფოს ხელახალი აშენების რთული პროცესი. ატარებდნენ დეცენტრალიზაციის პოლიტიკას, ცდილობდნენ მთავრობა დაახლოებოდა ხალხს და ცენტრს არ დაეკარგა კავშირი ცალკეულ რეგიონებთან. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ხმის მიცემის შედეგად ცალკეულ რეგიონებში ენიჭებოდათ უფლება გასულიყვნენ ქვეყნის შემადგენლობიდან. ამ უფლების მინიჭებას, რა თქმა უნდა, თავისი მიზანი ჰქონდა, მოეხდინათ იმის უზრუნველყოფა, რომ დედაქალაქში პოლიტიკურ ელიტას არ გაერისკა და არ უფულვებელყო რიგითი მოქალაქეების პრობლემები ქვეყნის ნებისმიერ წერტილში და ქვეყნის ერთ ნაწილს საკუთარი პოზიცია არ მოეხვია თავს დანარჩენებისთვის. (სტიგლიცი, 2012, გვ.39)

ეთიოპია აქტიურ დებატებს მართავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელმაც ქვეყანაში სესხების პროგრამა შეწყვიტა მიუხედავად იმისა, რომ ეთიოპიის

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რაზეც, წესით, უნდა გაემახვილებინა ორგანიზაციას ყურადღება ძალიან კარგი იყო. ინფლაცია არ მომხდარა, ფასები ქვევით იწევდა და წარმოება სტაბილურად იზრდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორი პოლიტიკით შესაძლებელი იყო ღარიბ აფრიკულ ქვეყანას ჰქონოდა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა (სტიგლიცი, 2012, გვ.39). თუმცა ექვევებში იდგა არა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაფართოებული სტრუქტურული ადაპტაციის მექანიზმების პროგრამით (კრედიტების პროგრამა ღარიბი ქვეყნებისათვის სუფსიდირების მაღალი განაკვეთებით) გამოყოფილი 127 მილიონი დოლარის მიღება, არამედ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხების მიღებაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს დახმარებების საკითხში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მანდ უნდა შეამოწმოს მიმღები ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრობს თუ არა ეს სახელმწიფო საკუთარი სახსრებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ, თუ ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი სახსრები, გარკვეული პერიოდის შემდეგ უამრავი პრობლემის წინაშე დადგება და სესხით იგი დიდხანს ვერ იარსებებს. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს აღელვებს ესაა ინფლაციის დონე, რადგან იგი ხშირად შენელებული ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, ეს უკანასკნელი იწვევს უმუშევრობის დონის ზრდას.

ცხადია, რომ ის მთავრობა, რომელიც სათანადოდ ვერ მართავს საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტს, დიდი შანსია იმის, რომ იგი ვერ გამოიყენებს ეფექტურად უცხოურ დახმარებებს. თუ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა - სტაბილურ მდგომარეობაშია, როგორც ეს ეთიოპიის შემთხვევაში იყო, მაკროეკონომიკური მდგომარეობაც კარგი უნდა ყოფილიყო (Barro, 2013 pp.123-144). მსოფლიო ბანკში კარგად იცოდნენ რომ ეთიოპიის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დაეძლია სირაიბე. ამ სახელმწიფომ შეიმუშავა სოფლის განვითარების სტრატეგია და აქცენტი გააკეთა სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 85%-ს შეადგენდნენ. ეთიოპიის მთავრობამ შეამცირა სამხედრო ხარჯები და ეს თანხები

კვლავ სიღარიბესთან ბრძოლას მოახმარა. ცხადია, რომ ამ სახელმწიფოს მთავრობა განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სწორ გზას მიყვებოდა, უბრალოდ საჭირო იყო საერთაშორისო დახმარებების მიღება. თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეუწყვიტა პროგრამა ეთიოპიას და განაცხადა, რომ არ აკმაყოფილებდა ეთიოპიის საბიუჯეტო მდგომარეობა. (Dercon, 2002, p.9)

ეთიოპიის მთავრობას შემოსავლის ორი წყარო ჰქონდა - გადასახადები და უცხოური დახმარებები. სამთავრობო ბიუჯეტი დაბალანსებულია, თუ შემოსავლები ემთხვევა ხარჯებს. ეთიოპია, ისევე როგორც განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობა, ძირითად შემოსავალს იღებდა საერთაშორისო დახმარებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდს აღეგებდა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დახმარებების შეწყვეტის შემთხვევაში ეთიოპიას შეექმნებოდა პრობლემები. ორგანიზაციაში თვლიდნენ, რომ ეთიოპიის ბიუჯეტის მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მყარი, თუ შემოსავლები მთლიანად გადასახადებზე იქნებოდა დამოკიდებული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს აქვს, არის ის, რომ მისი ლოგიკის მიხედვით ღარიბ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ფულის იმაში დახარჯვა, რისთვისაც დახმარებას იღებენ და მათი აზრით მიღებული დახმარებები უნდა გამოიყენონ არა კონკრეტული მიზნისთვის, არამედ ეს თანხები წავიდეს ამ ქვეყნის რეზერვში. ფონდის ლოგიკის მიხედვით, ეთიოპიასა და სხვა განვითარებად სახელმწიფოებს უნდა დაეთვალიათ უცხოური დახმარებები, მაგრამ არ ჩაეთვალიათ გადასახადები საკუთარ ბიუჯეტში. თუ არც საერთაშორისო დახმარება არ ჩაითვლება, ნებისმიერი ქვეყანა ცუდ ეკონომიკური მდგომარეობაში აღმოჩნდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეთიოპიის მთავრობა ვერ თანხმდებოდნენ სესხის ნაადრევად დაფარვის საკითხზე, ფონდი და ამერიკის შეერთებული შტატები სესხის ვადაზე ადრე დაფარვის წინააღმდეგნი იყვნენ, იმის მიუხედავად, რომ ეს კარგად გათვლილი ეკონომიკური სვლა იყო და ზრდიდა ქვეყნის შესაძლებლობებს, გადაეხადა ვალები. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ამ სტრატეგიის წინააღმდეგი კი არ იყვნენ, არამედ

უბრალოდ არ მოსწონდა ფაქტი, რომ ეთიოპიამ ეს კურსი აირჩია ერთაშორისო სავალუტო ფონდის თანხმობის გარეშე. ეთიოპიასა და ფონდ შორის კიდევ ერთ წინააღმდეგობრივ საკითხს ეთიოპიის ბაზრის ლიბერალიზაცია წარმოადგენდა. ფონდში თვლიდნენ, რომ საპროცენტო განაკვეთი საერთაშორისო ბაზრის მიერ უნდა დადგენილიყო, მიუხედავად იმისა კონკურენტუნარიანი იყო ბაზარი თუ არა. ფონდისთვის მთავარი და საბოლოო მიზანი იყო ლიბერალიზებული ფინანსური სისტემა. ფონდი იმდენად იყო დარწმუნებული საკუთარი დოგმატური პოზიციის სისწორეში, რომ საერთოდ არ აინტერესებდა, სინამდვილეში რა ხდებოდა. (სტიგლიცი, 2012, გვ.46)

აღნიშნული წინააღმდეგობების გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ ეთიოპია სერიოზულად არ ეკიდებოდა რეფორმას და პროგრამა შეწყვიტა და თვეები დასჭირდა ფონდის მიერ დახმარების პროგრამის ხელახლა დაწყებას. პრობლემა მდომარეობდა იმაშიც, რომ ფონდის ეკონომისტები ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფდნენ მნიშვნელოვან დეტალებს და არ სურდათ მხოლოდ მრჩევლის როლის შესრულება და სურდათ გადამწყვეტი ადგილი ჰქონოდათ პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. ამის გაკეთება შეეძლოთ, რადგან მათი პოზიცია ეფუძნებოდა კონკრეტულ იდეოლოგიას - საბაზრო ფუნდამენტალიზმს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მახასიათებლებისა და არსებული პრობლემების გათვალისწინება საჭირო არ იყო.

7. ინდონეზიის ქეისი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკის ხარვეზები აზიის კრიზისის პერიოდშიც გამოჩნდა. აზიის კრიზისი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისი იყო, რომელმაც ბევრი სახელმწიფო დააზარალა, მათ შორის ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც კრიზისის დაწყებამდე სწრაფ და მაღალ ეკონომიკურ აღმასვლას განიცდიდნენ. ამ ქვეყნებს შორის არიან ინდონეზია და ტაილანდი. მდგომარეობა იმდენად სწრაფად

დამძიმდა, რომ ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ საკუთარი რესურსებითა და ძალებით დაეძლიათ კრიზისი და დახმარებისთვის მიმართეს საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

რეგიონში მომხდარმა ეკონომიკურმა პროცესებმა ინდონეზიურ რუპიაზეც იმოქმედა იმის მიუხედავად, რომ ინდონეზიას გააჩნდა დიდი სავალუტო რეზერვები, დაბალი ინფლაცია, კარგი სავაჭრო ბალანსი და გამართული საბანკო სექტორი. სწორედ ამიტომ, არავინ ელოდებოდა ინდონეზიაში მსგავსი ეკონომიკური პრობლემების განვითარებას. თუმცა ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეული ხარვეზებიც იყო, მათ შორის სტრუქტურული სისუსტეები ფინანსურ სექტორში, ასევე კერძო სექტორში, რომელსაც ჰქონდა დიდი მოცულობის საგარეო ვალი, დიდი რაოდენობით მოკლევადიანი ოფშორული სესხები დოლარში.

ინდონეზიურმა კომპანიებმა, შეიძლება ითქვას, თავად შეიმნეს რთული მდგომარეობა, რადგან სასწრაფოდ დაიწყეს დოლარის ყიდვა, რამაც საგრძნობლად იმოქმედა რუპიაზე და კომპანიების მდგომარეობა ვალების მხრივ უფრო დამძიმდა. ასეთ მდგომარეობაში ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებდა ეროვნული ვალუტის დაცვას, რაც დადასტურდა რუპიის 30%-ით გაუფასურებით. (IMF STAFF 2000 CHAPTER vii BBOX 3.)

მდგომარეობა ნელ-ნელა უარესდებოდა, პრობლემები ექმნებოდა ბანკებსა და კომპანიებს, რაც შემდგომ მოსახლეობაზე აისახებოდა და საჭირო გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება.

პირველი ხელშეკრულება საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ინდონეზიას შორის გაფორმდა 1997 წლის ნოემბერში და ფონდმა გამოყო 10 მილიარდი აშშ დოლარი სამ წლიანი ვადით (Evaluation Report of the Independent Evaluation Office, 2003, p.10.). თანხის გამოყოფასთან ერთად ფონდმა მოითხოვა ინდონეზიისგან ფუნდამენტური ფინანსური რეფორმების გატარება, რომელიც მოიცავდა კერძო ბანკების დახურვას, სურსათისა და ენერჯიაზე სუფსიდიების შემცირებასა და საპროცენტო განაკვეთების ამაღლებას. სამწუხაროდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამ პაკეტმა არ გაამართლა და

მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ ქვეყანაში დაიწყო ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები, რამაც პოლიტიკური ცვლილებებიც გამოიწვია და შეიცვალა ქვეყნის პრეზიდენტი. ქვეყანაში რთულმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ინდონეზიასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდ შორის დაიდო მეორე 50 პუნქტიანი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სუბსიდიების ეტაპობრივ მოხსნას, მონოპოლიების გაუქმებას და სოციალური უსაფრთხოების ბადის პროვიზიას (IMF staff, 2000, Chapter VII, Box 3).

ინდონეზიისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებულმა ორმა ხელშეკრულებამ მდგომარეობა უკეთესობისკენ ვერ შეცვალა და დაიდო მესამე ხელშეკრულება. ორი მარცხის შემდგომა სავალუტო ფონდი მეტი ყურადღებით მოეკიდა ამ სახელმწიფოს ვითარებასა და პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და განსახვავებული რეფორმები შესთავაზა. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს გადაეცათ დიდი საკვები სუბსიდიები, სავალუტო ფონდის რჩევით ინდონეზიამ მოახდინა სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია და სწრაფად დაიწყო მოქმედება, რათა მომხდარიყო საბანკო რესტრუქტურირაცია. სავალუტო ფონდმა გადაწყვიტა გაემკაცრებინა მონიტორინგი რეფორმების იმპლემენტაციაზე.

8. ტაილანდის ქეისი

მსგავსი მდგომარეობა იყო ტაილანდშიც, სადაც ბაჰტზე სპეკულაციების შედეგად დაიწყო ეკონომიკური პრობლემები. აღნიშნულმა პრობლემამ გამოიწვია ინვესტიციების მასობრივი გადინება, გარღვევები ფინანსებში და უმუშევრობის დონის სწრაფი ზრდა. 1997 წელს ტაილანდში უმუშევრობის დონე 1,5% იყო, ხოლო 1998 წელს იგივე მაჩვენებელმა 4,35%-ს მიაღწია. ბაჰტი გაუფასურდა და 1998 წლის იანვარში მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს, 1 ბაჰტის ღირებულება 56 აშშ. დოლარს უდრიდა. ტაილანდის საფონდო ბირჟაზე ფასები დაეცა 75%-ით. ტაილანდში უდიდესი საფინანსო კომპანიები,

რომლებიც მანამდე წარმატებით ფუნქციონირებდნენ - გაკოტრდნენ. საგრძნობლად შემცირდა მშპ-ს მაჩვენებელი, 1996 წელს მშპ შეადგენდა 3.115 ტრილიონ ტაილანდურ ბაჰტს, შემდეგ წელს ის გაუარესდა და შეადგინა 3.072 ტრილიონი, ხოლო 1998 წელს ეს მაჩვენებელი 2.749 ტრილიონამდე დაეცა (Craig, 2000, p. 12-14)

ეროვნული ვალუტის სწრაფად გაუფასურებამ გამოიწვია საგარეო ვალების გაზრდა და ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტაილანდის ეროვნულ ბანკს აღარ გააჩნდა საკმარისი რეზერვები ვალუტის გასამყარებლად. ნათელი იყო, რომ ტაილანდი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას და საჭირო იყო საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება და მთავრობამ მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1997 წლის აგვისტოში ოთხი მილიარდი აშშ დოლარი გამოუყო ტაილანდს 34 თვიანი პერიოდით და ქვეყნის დახმარების პაკეტმა 17.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. (IMF Staff, 2000 Chapter VII box 1) სავალუტო ფონდის მიერ მიცემული პაკეტი გამიზნული იყო იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელმაც გამოიწვია ამ სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისი.

ბაჰტის მცოცავი კურსის სამართავად, ფონდის პროგრამის მიხედვით, ქვეყანამ შეიმუშავა მონეტარული პოლიტიკა. თუმცა ეროვნული ვალუტა უფრო გაუფასურდა და საჭირო გახდა სავალუტო ფონდს გადაეხედა პროგრამისთვის და შეეტანა გარკვეული ცვლილებები. პროგრამის უმთავრესი მიზანი იყო აღედგინათ ეკონომიკური ზრდა. მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებული იყო როგორც გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკის აღორძინებაზე.

ფისკალური პოლიტიკის მთავარი სამიზნე ფისკალური დეფიციტი იყო. გაიზარდა თანხები სოციალური უსაფრთხოების ბადის გაძლიერების პროგრამებზეც. რაც შეეხება ფინანსური სექტორის რესტრუქტურისა, პროგრამის თავდაპირველ ეტაპზე ყურადღება მახვილდებოდა ფინანსური კომპანიების გაკოტრებაზე, სუსტი ბანკების

საქმიანობაში მთავრობის ჩარევასა და საბანკო სისტემის რეკაპიტალიზაციაზე. მოგვიანებით, 1998 წელს რეფორმები დაჩქარდა და ყურადღება გადატანილი იქნა იმ ბანკების პრივატიზაციაზე, სადაც მოხდა ჩარევა; საფინანსო კომპანიებისგან აქტივების განკარგვასა და კორპორატიული ვალის რესტრუქტურისაციაზე. ხელისუფლება სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა და ამ მხრივ საჭირო რეფორმებსაც ატარებდა, რაც მოთხოვნილი იყო სავალუტო ფონდის მხრიდან (სტიგლიცი, 2012, გვ.148).

9. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა და ქმედებები ეთიოპია, ინდონეზიასა და ტაილანდში

როდესაც ამ სამ სახელმწიფოში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი ნათელი გახდა, რომ საკუთარი ძალებით ვერ მოახერხებდნენ ეს სახელმწიფოები მდგომარეობიდან გამოსვლას და ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. საჭირო გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ამ პროცესში და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადაწყვიტა დახმარებოდა ამ სახელმწიფოებს კრიზისის დაძლევაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გეგმა მოიცავდა სამ სტრატეგიას: დაფინანსება, მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სტრუქტურული რეფორმები.

✚ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადაურიცხა ამ სახელმწიფოებს თანხა დახმარების სახით. ასევე სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ კერძო კაპიტალის გადინება.

✚ იმისათვის, რომ შეჩერებულიყო ქვეყნებში სავალუტო გაცვლითი კურსების დაშლა, ვალუტის გაუფასურება და სწრაფი ინფლაცია ამ ქვეყნებში, სხვადასხვა ეტაპზე მოხდა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. ეს იყო დროებითი პროცესი. ფისკალური პოლიტიკა ძირითადად გატარდა ინდონეზიისა შემთხვევაში. ტაილანდში ფისკალური

პოლიტიკის გამკაცრება დაგეგმილი იყო კრიზისამდე ერთი წლით ადრე იმისათვის, რათა შემობრუნებულიყო დეფიციტის ზრდის პროცესი.

✚ ფინანსურ და კორპორატიულ სექტორებში არსებული რთული მდგომარეობის გამო ამ კუთხით გადადგმული იქნა სხვადასხვა ნაბიჯები. რეფორმები დიდი ნაწილი მიმართული იყო აღნიშნული კრიზისის სოციალური შედეგების შემსუბუქებისკენ (IMF Staff, 2000, Chapter III).

10. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებული შეცდომები და მათი განმაპირობებელი მიზეზები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკის დომინანტი მოთამაშეა. მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ის სახელმწიფოები ითვალისწინებენ, ასრულებენ და მისდევენ მათ მიერ შემუშავებულ პოლიტიკას და რჩევებსა თუ კანონებს, რომლებსაც სუსტი ეკონომიკა აქვთ და საჭიროებენ ფონდის დახმარებას, არამედ ისინიც, რომლებსაც სავალუტო ფონდის თანხმობა სჭირდებათ მსოფლიო ბაზრებზე მოწინავე როლის დასამკვიდრებლად. ეს წესები თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიასა და თეორიას ასახავს (სტიგლიცი, 2012, გვ.27).

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ბევრ სფეროში დაუშვა შეცდომები, მათ შორის კრიზისის მართვაშიც. ზოგ შემთხვევაში მათი პოლიტიკა წარუმატებელი იყო იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც კრიზისში მყოფი სახელმწიფო მკაცრად ემორჩილებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ წესებს და ზუსტად ასრულებდა მათ მითითებებს. ბევრ შემთხვევაში სავალუტო ფონდის მიერ ზედმეტად მკაცრი პირობები იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ ეს სახელმწიფოები ვერ ახერხებდნენ კრიზისიდან გამოსვლას და ეკონომიკის განვითარებას.

თუმცა, არ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა, მათი წესები თუ რჩევები ყოველთვის არაეფექტიანი იყო. მათი თავისუფალი საბაზრო რეფორმები საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა ლათინურ ამერიკაში. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მექსიკა, სადაც კრიზისის პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაწეულმა დახმარებებმა დადებითი შედეგები გამოიღო.

1980-იან წლებში მექსიკა განიცდიდა ფინანსურ კრიზისს, თუმცა 1990-იანი წლებიდან დაიწყო მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყანაში დაიწყო ფინანსური ზრდა. ეს გარკვეულწილად გამოწვეული იყო ინვესტორების დამოკიდებულებით, რომ მიწას გააჩნდა დიდი შესაძლებლობები ინვესტიციებისათვის. თუმცა ინფლაციისა და პესოს მუდმივი დენომინაციის გამო, მექსიკური ვალუტა გახდა არაკონკურენტუნარიანი.

1994 წლის 19 დეკემბერს მექსიკის მთავრობამ მოახდინა მექსიკური პესოს დევალვაცია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პესო, რომელიც მიზნული იყო დოლართან ეკონომიკური ზრდის გამო პრობლემები ჰქონდა შექმნილი. პესოს დევალვაციამ გამოიწვია მექსიკური ფინანსური სექტორის პანიკა და შდეგად უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში რვა მილიარდი დოლარი დაკარგეს.

ფინანსური კრიზისი გავრცელდა მეზობელ სახელმწიფოებზე და მოსალოდნელი იყო მთლიანი რეგიონისთვის კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა სწორედ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პაკეტის დახმარებით, რომელიც ითვალისწინებდა 50 მილიარდი დოლარის გამოყოფას, მოხდა ფინანსური სექტორის სტაბილიზაცია (Success and Failures of IMF, 2015). საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა მექსიკაში. იგი დაეხმარა ქვეყანას შეჩერებულიყო მათი აქტივების ლიკვიდაცია, აიწია ვაჭრობის დონემ, რამაც გამოიწვია ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება.

დღეისათვის ამ სახელმწიფოებში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე კვლავ მაღალია, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემა უკვე სახელმწიფოს შიგნით უნდა ვეძებოთ, რადგან შემოსავალი ძირითადად მაღალი ფენებისთვის მოსახლეობის 10%-სთვის იზრდება.

ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს. ერთი მოსაზრებით, პრობლემა სწორედ ამ სახელმწიფოებში იყო, მთავრობებმა ვერ შეძლეს გამკაცვებოდნენ ამ პრობლემას და სწრაფად აღმოეფხვრათ იგი. ხოლო მეორე მოსაზრებით, პრობლემა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკაში იყო, მან ვერ შეძლო სწორი პოლიტიკის დაგეგმვა პრობლემის გადასაჭრელად.

ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ქეისებიდან გამომდინარე თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამდენად რელევანტური და საჭირო იყო იმ მომენტისთვის ის მოთხოვნები და რეკომენდაციები, რაც გასცა სავალუტო ფონდმა ამ ქვეყნებისთვის და რამდენად ადეკვატური მოთხოვნები ქონდა მას ამ ქვეყნებთან სავალუტო კრიზისის დროს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კრიზისის დასაწყისშივე დაუშვა გარკვეული შეცდომები, კერძოდ სათანადოდ არ შეაფასა მდგომარეობის სირთულე და შეიძლება ითქვას, ყურადღებით არ მოეკიდა ამ პრობლემას. მან გარკვეული პროგრამები შესთავაზა ამ სახელმწიფოებს, რათა მომხდარიყო სავალუტო კურსის დასტაბილურება თუმცა მისმა გეგმამ არ გაამართლა. სავალუტო ფონდის შეცდომა იყო, რომ საჯაროდ აკრიტიკებდა ამ სახელმწიფოების მთავრობებს და საჯაროდ განიხილავდა იმ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს, რაც ამ სახელმწიფოებში იყო. სავალუტო ფონდში მიიჩნევდნენ, რომ მთავარი პრობლემა იყო ადგილობრივი სუსტი ეკონომიკური და ფინანსური სისტემები და შემდეგში სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობდა, რამაც გამოიწვია სხვა პრობლემების, როგორც იყო მაგალითად სოციალური პრობლემები, უყურადღებოდ დატოვება.

იმის გამო, რომ ადგილობრივი მთავრობების და ამ სახელმწიფოების რთული ეკონომიკური მდგომარეობის კრიტიკას ახდენდა საჯაროდ, უფრო და უფრო მეტი ინვესტორი ტოვებდა ამ ქვეყნებს და კაპიტალი უფრო სწრაფად გაედინებოდა. რა თქმა უნდა, ინვესტორები ითვალისწინებდნენ სავალუტო ფონდის მიერ გაკეთებულ განცხადებებს და ნაწილობრივ ამის საფუძველზე ხდებოდა ინვესტიციების გადინება.

ამ სახელმწიფოებში ეკონომიკური კრიზისის დროს, სავალუტო ფონდს უნდა ეზრუნა ინვესტორების მხრიდან ამ ქვეყნებისადმი რწმენის აღდგენაზე, რათა პირველ ჯერზე შეჩერებულიყო კაპიტალის სწრაფად გადინება, ხოლო შემდგომ მომხდარიყო ინვესტიციების შემოდინება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ქვეყნებს კრიზისიდან თავის დაღწევაში, თუმცა, სავალუტო ფონდმა ვერ გაითვალისწინა, რომ მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომელიც მიუთითებდა ამ სახელმწიფოებში ფინანსური კრიზისის სიმწვავეზე, შესაძლოა ამ სახელმწიფოების მდგომარეობა გაეუარესებინა. სამწუხარო, ფაქტია, რომ მოხდა კაპიტალის გადინების გაძლიერება, რაც უარყოფითად აისახა ამ სახელმწიფოებზე.

ეთიოპიას, ინდონეზიას და ტაილანდს სავალუტო ფონდმა მოსთხოვა მაღალი განაკვეთების დაწესება. ფონდში არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ამ სახელმწიფოებში მაღალი დავალიანება იყო და კომპანიებისთვის დიდი ზარალის მომტანი იქნებოდა. კომპანიების ნაწილი გაკოტრდა, რამაც გამოიწვია ის, რომ ეს ფირმები ვეღარ იხდიდნენ ვალებს და რთული მდგომარეობა ექმნებოდათ ბანკებსაც. მაღალმა საპროცენტო განაკვეთმა რეცესია გააუარესა და კაპიტალის ქვეყნიდან გადინება დააჩქარა. ამის შესახებ ჯ. სტიგლიცი წერს: „ფაქტობრივად, ფონდმა მცირე ბიზნესსა და სხვა უდანაშაულო პირებს გადაახდევინა იმათი ვალები, ვისაც სესხი დოლარში ჰქონდა აღებული“ (სტიგლიცი, 2012. გვ.158).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელსაც უშვებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ქვეყნებთან მიმართებაში იყო ის, რომ ხშირ შემთხვევაში არ

ითვალისწინებდა, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ერთმანეთზე სხვადასხვა ქვეყნებში გატარებული პოლიტიკა. ერთი სახელმწიფოს მკაცრი ფულადი პოლიტიკა არა მარტო ამ ქვეყნის ეკონომიკისთვის იყო ცუდი, არამედ იგი უარყოფით გავლენას ახდენდა მეზობელ სახელმწიფოებზეც. მკაცრი პოლიტიკის მხარდაჭერით, რომელიც მიზნად ისახავდა კრიზისული მდგომარეობის გამოსწორებას და ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში დახმარებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეპიდემის გავრცელებას შეუწყო ხელი და რეცესია დაიწყო სხვა ქვეყნებშიც. როდესაც ერთ სახელმწიფოს ჰქონდა ეკონომიკური პრობლემები, იგი ამცირებდა იმპორტს მეზობელი ქვეყნებიდან, რაც უარყოფითად აისახებოდა მეზობელ სახელმწიფოებზე (Fischer, 1998).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ამ სახელმწიფოებში სავალუტო კურსის ვარდნის შეჩერება და სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევდა ამ სახელმწიფოებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა განვითარებად სახელმწიფოებში მომხდარიყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც მთავრობა არ ჩაერეოდა ფინანსურ და კაპიტალის ბაზრების საქმიანობაში. სწორედ ეს საკითხებია ვაჭრობის ლიბერალიზაციის თეორიის საკვანძო ღირებულებები.

ვაჭრობის ლიბერალიზაციის თეორიის მომხრეები ფიქრობენ, რომ ვაჭრობის პროცესები ინდივიდებმა უნდა მართონ, ამით მთელი საზოგადოება ისარგებლებს და რომ სახელმწიფო კონტროლის დაწესება ამ პროცესზე უარყოფით გავლენას მოახდენს საზოგადოების სარგებელზე და ბაზარში მონაწილეობას სხვადასხვა აქტორებისთვის უფრო გააძვირებს. ლიბერალებისთვის შედარებითი უპირატესობის გამოყენებით ვაჭრობის შედეგად ნებისმიერი მხარე მოგებულ რჩება, ამიტომაც ვაჭრობა ყველასათვის სასარგებლოა. სწორედ ამ იდეებს ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდიც და მისი უპირველესი მოთხოვნები ბევრ სიტუაციაში, სწორედ ლიბერალიზაციას ეხებოდა, იმ

იმედით, რომ ფინანსური და კაპიტალის ბაზრების და ვაჭრობის ლიბერალიზაცია აღმოფხვრიდა პრობლემებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს ამ ქვეყნებთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავებისას მიაჩნდა, იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოებში არსებობდა კლანური კაპიტალიზმი, სახელმწიფო უხეშად ერეოდა ფინანსურ და სავაჭრო საკითხებში, აუცილებელი იყო ლიბერალური პოლიტიკის გატარება. ამგვარი პოლიტიკით, ის ცდილობდა მოეგვარებინა კრიზისის საფუძველში არსებული პრობლემები და სწორედ ვაჭრობის ლიბერალიზაციით ცდილობდა კრიზისული მდგომარეობის გამოსწორებას.

სამწუხაროდ, ლიბერალური პოლიტიკის გატარებას ყოველთვის დადებითი შედეგები არ მოაქვს სახელმწიფოსთვის. სავალუტო ფონდმა სამივე სახელმწიფოს მოთხოვა არაეფექტური საწარმოების დახურვა. მიზეზი იყო ის, რომ ეს საწარმოები ვერ ახერხებდნენ მსოფლიო ბაზარზე სხვა კომპანიებთან კონკურენციის გაწევას. თუმცა ამ ქმედებებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ მოხდა სამუშაო ადგილების დაკარგვა, რაც უარყოფითად აისახა და უფრო გაამწვავა ფინანსური კრიზისი.

სავალუტო ფონდის პოლიტიკა მიზნად ისახავდა ამ საწარმოების დახურვასთან ერთად მომხდარიყო უფრო პროდუქტიული და კონკურენტუნარიანი საწარმოების შექმნა, რაც უზრუნველყოფდა დაკარგული სამუშაო ადგილების ჩანაცვლებას, უკეთესი და უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნით. თუმცა, სავალუტო ფონდმა ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ამ სახელმწიფოებში კრიზისის პერიოდში შეუძლებელი იყო მსგავსი საწარმოების შექმნა, რადგან ინვესტიციები შემოდინების ნაცვლად მუდმივად გაედინებოდა. ასევე შეუძლებელი იყო კაპიტალისა და მეწარმეობის მდგომარეობის კუთხითაც. საერთაშორისო სავალუტო ფონდში კი ამ დეტალებზე ყურადღება არ გაამახვილეს და მოითხოვდნენ ლიბერალიზაციის პროცესის დაჩქარებას. სავალუტო ფონდში მიაჩნდათ, რომ თუკი მოხდებოდა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, დანარჩენი პრობლემების მოგვარება უფრო მარტივი იქნებოდა. შედეგად ადვილად შეძლებდნენ

მიზნის მიღწევას, რაც გულისხმობდა ამ სახელმწიფოებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მაგალითად ეთიოპიის შემთხვევაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდს სურდა, რომ გახსნილიყო ბაზარი დასავლეთის კომპანიების კონკურენციისთვის. ასევე ფონდს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო მოწინავე ბანკების შედარებით მცირე ბანკებად დაყოფა. (სტიგლიცი, 2012, გვ.44).

გარკვეული თვალსაზრისით სწორი პოლიტიკა იყო, თუმცა სავალუტო ფონდმა შეცდომა დაუშვა იმ კუთხით, რომ სათანადოდ არ შეისწავლა ამ კონკრეტული სახელმწიფოს მდგომარეობა და ვერ განსაზღვრა, თუ რა შედეგი ექნებოდა მსგავსი პოლიტიკის გატარებას.

ტაილანდის შემთხვევაშიც იყო შეცდომები ლიბერალიზაციის კუთხით. მანამ, სანამ სავალუტო ფონდი ტაილანდისგან მოითხოვდა ლიბერალიზაციის პროცესის დაჩქარებას, ამ სახელმწიფოში მკაცრად იყო განსაზღვრული თუ რა ოდენობამდე შეეძლოთ ბანკებს სპეკულაციური უძრავი ქონების ბიზნესისათვის სესხების მიცემა. მთავრობას მიაჩნდა, რომ თუ რესურსებს დააბანდებდნენ საწარმოებში, შეიქმნებოდა სამუშაო ადგილები, რაც მათი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ტაილანდი სიფრთხილეს იჩენდა სპეკულაციური უძრავი ქონების სესხების დროს და გარკვეულ შეზღუდვებსაც აწესებდა. ლიბერალიზაციამ გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან მსგავს საკითხებში ჩაურევლობა. გაიზარდა უძრავი ქონების ფასი და დეველოპერებმა დაიწყეს ახალი შენობების აშენება, თუმცა ჭარბწარმოების გამო ვერ ახერხებდნენ ამ შენობების გაქირავებას. ამ ყველაფერმა გამოიწვია სესხების დეფოლტი და ბიზნესის გაკოტრება (სტიგლიცი, 2012, გვ.142).

საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ბაზარი თვითრეგულირებადი ყოფილიყო (სტიგლიცი, 2012, გვ.142). ფონდმა ვერ გაითვალისწინა, რომ ლიბერალიზაციის სწრაფი პროცესი ვერ მოუტანდა ტაილანდს ეკონომიკურ

კეთილდღეობას. მაშინ, როდესაც ტაილანდი ფონდის მიერ შეთავაზებულ პოლიტიკას ატარებდა და კომერციულ უძრავ ქონებაზე ხარჯავდა თანხებს, არსებობდა კიდევ უამრავი სფერო, სადაც უფრო მეტად იყო რესურსები საჭირო.

ამ სახელმწიფოების შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა არ გაითვალისწინა სოციალური ფაქტორები. სავალუტო ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევდა ამ სახელმწიფოებს, თუმცა სოციალური მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა, რაც გამოიხატებოდა უმუშევარი ადამიანების რაოდენობის ზრდაში და სააერსებო წყაროების ნაკლებობაში. ინდონეზიასა და ეთიოპიის შემთხვევაში ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა. სავალუტო ფონდში მიხვდნენ, რომ სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა დიდი შეცდომა იყო და ამ სახელმწიფოებში ამ მხრივ მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა და შესაბამისად შეცვალა თავისი პოლიტიკა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მცდელობის მიუხედავად, სწრაფად დასრულებულიყო ფინანსური კრიზისები ამ სახელმწიფოებში, მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებდნენ სხვადასხვა კუთხით. ფონდმა მილიარდობით დოლარი გამოყო მაგალითად ვალუტის კურსის გასამყარებლად, ცდილობდა იმ ფაქტორებზე გაემახვილებინა ყურადღება, რაც იწვევდა კრიზისის განვითარებასა და გამლიერებას თუმცა უყურადღებოდ რჩებოდა ასევე მრავალი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. იმდენად იყო ჩართული ამ სახელმწიფოებში ეკონომიკური ცვლილებების განხორციელებაზე, რომ არ მიაქცია ყურადღება მილიონობით გაჭირვებულ და სიღარიბეში მყოფ ადამიანს. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების სიმრავლის გამო გაჩნდა საფრთხე სოციალური არეულობის, მაგალითად ინდონეზიაში, სადაც არეულობის შემდეგ ფონდმა ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე და განაახლა საკვების სუფსიდირება (Sherkok, 1997-1998).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, რეკომენდაციებზე და ქმედებებზე დაყრდნობით რომ ვიმსჯელოთ, იგი გრძელვადიან განვითარების პროგრამაზე იყო ორიენტირებული. ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა ისეთ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სახელმწიფოების სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას. ამ დროს უყურადღებოდ რჩებოდა მრავალი, ასევე მნიშვნელოვანი, დეტალი. ბაზრის ლიბერალიზაციის პროგრამა, ძლიერი, კონკურენტუნარიანი საწარმოების შექმნა თუ სხვა ქმედებები სწორედ ამ სახელმწიფოებში ფინანსური კრიზისის დასრულებისკენ მიმართული ნაბიჯები იყო. თუმცა შეცდომა დაუშვა იმ კუთხითაც, რომ ამ რეკომენდაციების შესრულებას ითხოვდა იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა ეს სამი ქვეყანა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებზე. სავალუტო ფონდში ფიქრობდნენ, რომ ყველა პრობლემის ერთიანად და სწრაფად გადაჭრა შეუძლებელი იყო. მათ მიაჩნდათ, რომ თუ გრძელვადიან პერსპექტივაში სურდათ ამ სახელმწიფოებს განვითარება, მაშინ საჭირო იყო მოთმენა და მომავალი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

შეცდომების აღიარება ყოველთვის რთულია, და სავალუტო ფონდის შემთხვევაშიც უჭირდათ ელიარებინათ, რომ მათ მიერ დაგეგმილი და გატარებული პოლიტიკა ყველა შემთხვევაში მართებული არ იყო. სტენლი ფიშერის განცხადებით, რომელიც ფონდის ეკონომისტი იყო 1994-2001 წლებში: „საპროცენტო განაკვეთების აწევა, იმ დროისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო ვალუტის კურსის ვარდნის შესაჩერებლად, მართალია ეს დააზარალებდა ქვეყნის შიგნით ბანკებსა და საწარმოებს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ვალუტის კურსის დასტაბილურების შემდეგ, საპროცენტო განაკვეთიც დაიწევდა. იმ დროისთვის მთელი სავალუტო ფონდი იზიარებდა შეხედულებას, რომ კრიზისის მოსაგვარებლად აუცილებელი იყო ამ ქვეყნების მხრიდან გარკვეულ მსხვერპლზე წასვლა.“ (Fischer, 1998)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამოუკიდებელი შეფასების ოფისის მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ფონდის მიერ შემუშავებული პროგრამებსა და პოლიტიკაში მნიშვნელოვანი შეცდომები იყო დაშვებული (Independent Evaluation Office of IMF). ამ ანგარიშს გამოეხმაურნენ ფონდშიც. თანამშრომლებმა და აღმასრულებელმა საბჭომ ერთხმად აღიარეს, რომ კვლევა იყო კარგად წარმოებული, კრიზისი იყო გაკვეთილი მათთვის, შემდგომში შეცდომების თავიდან ასაცილებლად და პოლიტიკის უფრო დასახვეწად. ფონდის აღმასრულებელი საბჭო ძირითადად დაეთანხმა ოფისის მიერ გამოტანილ დასკვნას და განაცხადა, რომ გარკვეული რჩევები მათთვის სავსებით მისაღები და გაითვალისწინებელია (IMF Staff, 2003, p.157). ამით ფონდმა ირიბად კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსაზრება, რომ მათ მიერ გატარებული პოლიტიკა არ იყო გამართული და სწორი, მას ქონდა სერიოზული ხარვეზები, რის გამოც სწრაფად ვერ მოხდა ფინანსური კრიზისის შეჩერება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებული შეცდომების ახსნა გადაწყვეტილების მიღების თეორიით

სნაიდერის გადაწყვეტილების მიღების თეორია კარგად ხსნის სავალუტო ფონდის მიერ დაშვებულ შეცდომებს ეთიოპიის ინდონეზიისა და ტაილანდის მაგალითების შემთხვევაში. როგორც უკვე ვახსენე სნაიდერი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღებას და თვლის, რომ პოლიტიკის შემუშავება და მისი რელევანტურობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, როგორ წარიმართება გადაწყვეტილების მიღების პროცესი და რა შემთხვევაში უშვებენ შეცდომებს გადაწყვეტილების მიმღებნი.

როდესაც სნაიდერი საუბრობს გარემოებებსა და დეტალებზე, ის ამბობს, რომ ამ ფაქტორების უგულებელყოფა და უყურადღებოდ დატოვება იწვევს არარელევანტური,

არაოპტიმალური ან არასანდო გადაწყვეტილების მიღებას, და შესაბამისად არაეფექტური პოლიტიკის გატარებას. ჩემს ნაშრომთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, არ იყო სანდო და ოპტიმალური. გადაწყვეტილების მიღება მოხდა იმ დეტალების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ეხებოდა გარემოებებსა და ფაქტორებს. კერძოდ, ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ფინანსური კრიზისების დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ყურადღება არ გაამახვილა ფაქტორებსა და გარემოებებზე და შესაბამისად, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ იყო ოპტიმალური.

როდესაც ამ სახელმწიფოებში სავალუტო კურსი სავალუტო ფონდის მცდელობის მიუხედავად განაგრძობდა ვარდნას და ფონდი ამის შესახებ საჯარო განცხადებებს აკეთებდა, მათ არ გაითვალისწინეს, რომ მსგავსი სახის განცხადებებით დაინტერესდებოდნენ ინვესტორები და ეს გამოიწვევდა ამ სახელმწიფოებიდან კაპიტალის სტიქიურ გადინებას.

სავალუტო ფონდმა არ გაითვალისწინა, რომ ამ სახელმწიფოებში მაღალი დავალიანება იყო და მაღალი განაკვეთების დაწესება არ იყო რელევანტური გამოსავალი. მათმა გადაწყვეტილებამ უამრავი კომპანია გააკოტრა რაც შემდეგ უარყოფითად აისახა ბანკებზეც.

საწარმოების დახურვა და ახალი კონკურენტუნარიანი საწარმოების შექმნის მოთხოვნა იმ კრიზისულ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ეთიოპია, ინდონეზია და ტაილანდი იყვნენ შეუძლებელი იყო. ფონდმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი უგულებელყო, როგორც იყო ამ სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობა.

სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლობით მოსახლეობისთვის მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდებოდა, რაც გამოიხატებოდა უმუშევრობის ზრდაში თუ ელემენტარული საარსებო პირობების არქონაში. საბედნიეროდ სავალუტო ფონდში სწრაფად აღმოაჩინეს მათი პოლიტიკის ეს ხარვეზი და შეცვალეს იგი.

სავალუტო ფონდმა გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღო დეტალების გაუთვალისწინებლობით. არც ერთი სახელმწიფოს შემთხვევაში (იგულისხმება ეთიოპია,

ინდონეზია და ტაილანდი) მას არ გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია მნიშვნელოვან დეტალებზე და გარკვეულ შემთხვევებში იჩენდა უყურადღებობას.

საზოგადოება ყოველთვის განიცდის ცვლილებებს და მსგავსი პოლიტიკა ერთ შემთხვევაში შესაძლოა მართებული იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში არაეფექტური. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული პოლიტიკა ეთიოპიის, ინდონეზიისა და ტაილანდის ფინანსური კრიზისების დროს, შეუსაბამო იყო არსებულ მდგომარეობასთან. იმის გამო, რომ მსგავსმა პოლიტიკამ გაამართლა თუნდაც ლათინური ამერიკის ფინანსური კრიზისების დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსგავსი პოლიტიკა გაატარა ზემოთ აღნიშნულ სამ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რამაც დადებითი შედეგები ვერ გამოიღო.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირადი სურვილები და ინდივიდუალური გრძნობები უგულვებელყოფილი უნდა იყოს იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა არ დაუშვან შეცდომენი და გადაწყვეტილებები მიიღონ რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომებიდან ამ სამ ქვეყანასთან მიმართებაში ერთ-ერთია ის, რომ სავალუტო ფონდში გარკვეული გადაწყვეტილებები სწორედ ამ შეცდომით იყო მიღებული. მაგალითად ეთიოპიის შემთხვევაში სავალუტო ფონდი ბლოკავდა სწორ, მისაღებ გადაწყვეტილებას იმის გამო, რომ ეთიოპიის მთავრობამ გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილება სავალუტო ფონდთან შეთანხმების გარეშე მიიღო.

ამ სწორედ ამ საკითხების გამო, სავალუტო ფონდის პოლიტიკამ ამ სამ სახელმწიფოსთან მიმართებაში დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და საბოლოოდ საჭირო გახდა მათი პოლიტიკისა და დამოკიდებულების შეცვლა, რაც ითვალისწინებდა ამ სახელმწიფოებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებას, დეტალებზე ყურადღების გამახვილებას და სხვადასხვა ქეისებთან ინდივიდუალურ მიდგომას.

გადაწყვეტილების მიღების თეორიის დახმარებით შევეცადე ამეხსნა თუ რატომ იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკაში მსგავსი ხარვეზები. მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცდილობდა ფინანსური კრიზისის დასრულებას ამ სახელმწიფოებში თუმცა ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო ეს პროცესი გახანგრძლივდა. ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი იყო ეთიოპიაში, ინდონეზიასა და ტაილანდში ფინანსური კრიზისის დასრულება და ეკონომიკის განვითარება.

დასკვნა

ფინანსური კრიზისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა რაც კი შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს. იგი იმდენად რთულ ფენომენს წარმოადგენს, რომ ხშირად არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც რთულია დამოუკიდებლად მდგომარეობიდან გამოსვლა. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება გარე ძალების დახმარება და ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია სწორედ საერთაშორისო სავალუტო ფონდია.

იმის გარდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცდილობს დაეხმაროს ამ ქვეყნებს ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში, ასევე მისი მიზანია ფინანსური კრიზისის სხვა სახელმწიფოებში გავრცელების პრევენცია.

თუმცა, ზოგჯერ პროცესი ჭიანჭურდება, რაც ერთის მხრივ სავალუტო ფონდის შეცდომების გამო ხდება. მეორეს მხრივ კი პრობლემა თავად ამ სახელმწიფოებშია. ფინანსური კრიზისის მიზეზები ხშირად ამ სახელმწიფოების შიგნით უნდა ვეძიოთ, ისევე, როგორც კრიზისის გაჭიანჭურებისა და განვითარების მიზეზები. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფოს ფინანსური და ეკონომიკური სისტემა სუსტია. სახელმწიფო ხშირად უხეშად ერევა ეკონომიკურ საკითხებში. ამ მიზეზების გამო

ეკონომიკური კრიზისი ხშირად ჭიანჭურდება და უარეს შემთხვევაში მდგომარეობა რთულდება.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ყოველთვის სწორი და საჭირო პოლიტიკა ტარდება და ის არ არის გარკვეულწილად დამნაშავე კრიზისის განვითარებაში თუ რთული მდგომარეობის დიდხანს გაგრძელებაში.

ნაშრომში მიმოვიხილე სამი სახელმწიფოს - ეთიოპიის, ტაილანდისა და ინდონეზიის ფინანსური კრიზისები. ავლწერე ამ სამი სახელმწიფოს მდგომარეობა კრიზისამდე, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რამდენად იყო ფინანსური სისტემა გამართული, რამდენად ერეოდა სახელმწიფო ეკონომიკურ საკითხებში და რამდენად რთულ მდგომარეობაში იყვნენ კრიზისის დროს და ა.შ.

თავდაპირველად ეს ქვეყნები ცდილობდნენ საკუთარი შესაძლებლობები და უნარები გამოეყენებინათ ბოლომდე, რათა მომხდარიყო ფინანსური კრიზისის დასრულება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. თუმცა შემდგომში ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლად ეს სახელმწიფოები ვერ შეძლებდნენ პრობლემის მოგვარებას. რთული მდგომარეობა იყო იმ მხრივაც, რომ კრიზისი შესაძლოა სხვა სახელმწიფოებზეც გადასულიყო. შესაბამისად საჭირო გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის დახმარების თხოვნით მიმართვა.

ინდონეზია, ტაილანდსა და ეთიოპიაში მიაჩნდათ, რომ თუკი საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადაწყვეტდა დახმარებას, მისი პროგრამების და ფინანსური დახმარების მეშვეობით ადვილად მოხდებოდა კრიზისის აღმოფხვრა. სავალუტო ფონდშიც მიაჩნდათ, რომ მდგომარეობა არც ისე რთული იყო და უმოკლეს დროში შეძლებდნენ დახმარებოდნენ ამ ქვეყნებს. თუმცა ამ შემთხვევაში ორივე მხარე შეცდა, როგორც ეს სახელმწიფოები, ასევე სავალუტო ფონდი, რადგან კრიზისი უკვე საკმაოდ გამწვავებული იყო.

როგორც აღვნიშნე, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩაერთა ფინანსური კრიზისის მოგვარების პროცესში, მდგომარეობა გარკვეულწილად გაუარესდა. თუმცა არ შეიძლება ცალსახად ვთქვათ, რომ ეს მხოლოდ სავალუტო ფონდის პოლიტიკის გამო იყო. მდგომარეობის გაართულებაში დიდი როლი ითამაშეს ასევე ამ სახელმწიფოებმაც.

უნდა აღინიშნოს, სავალუტო ფონდის დიდი მცდელობა სამივე ქვეყნის შემთხვევაში, როგორც ფინანსური დახმარების, ასევე ეკონომიკის განვითარების პროგრამების მხრივ.

წინა თავებში ამ სახელმწიფოების მდგომარეობასთან ერთად განვიხილე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებული პოლიტიკა თუ დახმარების პროგრამები, ვისაუბრე იმ შეცდომებზე, რაც დაუშვა სავალუტო ფონდმა და რასაც უარყოფითი შედეგები მოყვა.

სავალუტო ფონდის პროგრამებით გათვალისწინებული ქმედებების შემდეგ მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდა რამაც, რა თქმა უნდა, უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია ფონდის მიმართ. მათ შორის იყო ფონდის მიერ შერჩეული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა მცირე ბანკების დახურვას, ასევე მცირე არაკონკურენტუნარიანი კომპანიების დახურვას. რა თქმა უნდა მსგავსმა ქმედებებმა უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობაზე და მათი ეკონომიკური მდგომარეობა უფრო გაართულდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანს წარმოადგენდა გრძელვადიან პერიოდში ამ სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარება, რაც უნდა მომხდარიყო გარკვეული რეფორმების გატარებით. თუმცა ამ რეფორმების გატარება მტკივნეული პროცესი იყო მოსახლეობოსთვის, რომელთა დიდი ნაწილი უმუშევარი იყო და ძლიერ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მნიშვნელოვანი იყო ამ სახელმწიფოების ეკონომიკური ლიბერალიზაცია, რაც გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახებოდა მათ ეკონომიკაზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფონდის მიზანი იყო ამ სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ზოგადად მათი ეკონომიკის განვითარება გრძელვადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში ფონდისთვის სწორედ

გრძელვადიანი განვითარება იყო ყველაზე პრიორიტეტული და იგი მიზნად არ ისახავდა მხოლოდ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ფინანსურ კრიზისში მყოფი სახელმწიფოებისთვის. ფონდის მიერ მოთხოვნილი ლიბერალიზაციის პროცესიც, რა თქმა უნდა, ამ მიზანს ემსახურებოდა. თუმცა ფონდმა შეცდომა დაუშვა იმ კუთხით, რომ არ გაითვალისწინა ამ სახელმწიფოების იმ დროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა და სწრაფ ვადებში მოსთხოვა ამ ქვეყნებს ეკონომიკის ლიბერალიზაცია. თუმცა, როგორც ვახსენე ფონდმა ზედმეტად სწრაფ დროში მოითხოვა ლიბერალიზაციის პროცესი და კრიზისში მყოფი სახელმწიფოებისთვის მდგომარეობა გაუარესდა. არაკონკურენტუნარიანი საწარმოები უნდა ჩანაცვლებულიყო ძლიერი კონკურენტუნარიანი ფირმებითა და საწარმოებით, სავალუტო ფონდმა ვერ გაითვალისწინა, რომ იმ პერიოდში ამ სახელმწიფოებს არ ქონდათ საკმარისი რესურსები მსგავსი ძლიერი საწარმოების აშენებისთვის. ამან გამოიწვია ის, რომ უფრო მეტი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე და მოსახლეობის მდგომარეობა უფრო გაართულდა.

ზემოთ განვიხილე სნაიდერის გადაწყვეტილების მიღების თეორია, რომელიც კარგად ხსნის, თუ რატომ დაუშვა შეცდომები საერთაშორისო სავალუტო ფონდმა. როგორც უკვე ვახსენე, სნაიდერი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ინდონეზიის, ტაილანდისა და ეთიოპიის ფინანსური კრიზისების აღმოფხვრა თუ ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდში. ძირითად შეცდომად მიმაჩნია ის, რომ ფონდში დეტალებზე არ ამახვილებდნენ ყურადღებას გადაწყვეტილების მიღების დროს. არ სწავლობდნენ სათანადოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მდგომარეობას, რაც შესაბამისად ხელს უშლიდათ სწორი და შედეგის მომტანი გადაწყვეტილების მიღებაში. ისეთი დიდი ორგანიზაციისთვის, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდია, მარტივი არ იყო ინფორმაცია ჰქონოდათ ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე.

პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ მათი პოლიტიკა და პროგრამები თითქმის ერთნაირი იყო ყველა განვითარებადი სახელმწიფოსთვის, იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნების მდგომარეობები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისგან.

სნაიდერის გადაწყვეტილების მიღების თეორიის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომები ამ სამი სახელმწიფოს შემთხვევაში განპირობებული იყო სწორედ იმ გადაწყვეტილებებში არსებული ხარვეზებითა თუ დეტალების გაუთვალისწინებლობით რომელსაც იღებდნენ სავალუტო ფონდში.

თუ ფონდში გაითვალისწინებდნენ დეტალებსა თუ ფაქტორებს, ასევე თუ მეტი ყურადღებით მოეკიდებოდნენ ამ სახელმწიფოების პრობლემებს, სათანადოდ შეაფასებდნენ მდგომარეობის სირთულეს, ინდივიდუალურად მიუდგებოდნენ ამ სახელმწიფოების შემთხვევებს და გრძელვადიანი განვითარების პროგრამებთან ერთად, მეტ ყურადღებას დაუთმობდნენ იმ პერიოდში არსებულ პრობლემებსა და მოსახლეობის მდგომარეობას და შესაბამისად ამის გათვალისწინებით მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილებები იქნებოდა ამ ქვეყნების მდგომარეობასთან შესაბამისი და რელევანტური.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ფონდის მიერ გატარებულ პოლიტიკას ხარვეზები ჰქონდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმის, რომ ინდონეზია, ტაილანდსა და ეთიოპიაში ფინანსური კრიზისის აღმოფხვრა მალე ვერ მოხერხდა და კრიზისის პერიოდში მოსახლეობის მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამის მიუხედავად, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ფონდი ამ შეცდომებს გამიზნულად უშვებდა. შეცდომები გამოწვეული იყო ერთის მხრივ უყურადღებობით და დეტალების უგულებელყოფით. ამასთანავე კრიზისის განვითარებაში წვლილი ამ სახელმწიფოებსაც მიუძღვით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდშიც აღიარეს ის ხარვეზები, რაც ჰქონდა მათ პოლიტიკასა და პროგრამებს, და შეცვალეს თავისი მიდგომა, რაც დადებითად აისახა ამ

სახელმწიფოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კრიზისის შემდგომაც სავალუტო ფონდის პოლიტიკამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, ეს შეიძლება მეტყველებს იმაზე, რომ ამ სამი სახელმწიფოს ფინანსური კრიზისების დროს მისი პოლიტიკა არ იყო სწორად დაგეგმილი. თუმცა აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, ფონდი ცდილობდა ამ სახელმწიფოების დახმარებას და ის გამიზნულად არ უშვებდა შეცდომებს.

ბიბლიოგრაფია:

- ჯოზეფ სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, 2012
- Berg Andrew G., Asian Crisis: Causes, Policy Responses and Outcomes, 1999
- Boorman Jack and Andrea Richter Hume, Life with the IMF: Indonesia's Choices for the Future, 2003. <https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp071503>
- Breen Michael, The Political Economy of IMF Conditionality, 2008. <http://siteresources.worldbank.org/INTRAD/Resources/Breen.pdf>
- Conway Patric, The International Monetary Found in a time of Crisis: A Review of Stanley Fischer's "IMF Esseys from a time of Crisis: The International Financial System, Stabilization and Development", 2006. https://www.researchgate.net/publication/4981475_The_International_Monetary_Fund_in_a_Time_of_Crisis_A_Review_of_Stanley_Fischer's_IMF_Essays_from_a_Time_of_Crisis_The_International_Financial_System_Stabilization_and_Development
- Craig C. Julian, The Impact of the Asian Economic Crisis in Thailand, 2000. http://epubs.scu.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1341&context=comm_pubs
- Crotty Jim and Dimsky Gary, The Political Economy of the Asian Crisis, Can the Global Neoliberal Regime Survive Victory in Asia? 1998. http://people.umass.edu/crotty/lppe_fil.pdf
- Dercon Stefan, Growth, Shocks and Poverty During Economic Reform: Evidence from Rural Ethiopia, 2002. <https://www.imf.org/external/np/res/seminars/2002/poverty/sd.pdf>
- Fischer Stanley, The Asian Crisis: View from the IMF, 1998. <https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp012298>
- Fischer Snanley, The IMF and the Asian Crisis, 1998. <https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp032098>
- Ferraro Vincent, "Dependency Theory: The Development Economics Reader. 2008. <https://www.mtholyoke.edu/acad/intrel/depend.htm>

- Head W. John, The Asian Financial Crisis in Retrospect – Observations on Legal and Institutional Lessons Learning After a Dozen Years, 2009.
<http://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1040&context=ealr>
- Joseph P. Joyce, The IMF and Global Financial Crises: Phoenix Rising? 2012.
- Imf, Reforming World Finance – Lessons From a Crisis, 1998.
<http://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/54/vc100398>
- Ouattara Alassane, The Asian Crisis and the World Economy, 1998.
<http://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp030698>
- Vreeland James Raymond, The IMF and Economic Development, 2003.
http://www.sas.rochester.edu/psc/stone/book_reviews/rev_vreeland.pdf
- Sherlock Stephen, Crisis in Indonesia: Economy, Society and Politics. 1998.
http://www.aph.gov.au/About_Parliament/Parliamentary_Departments/Parliamentary_Library/Publications_Archive/CIB/CIB9798/98cib13
- Snyder Richard, W. Bruck, Decision-Making as an Approach to the Study of International Politics, 2002. <https://www.acsu.buffalo.edu/~fczagare/PSC%20346/SnyderBruckSapin.PDF>
- Snyder R, Bruck H, Sapin B, Hudson V, Foreign Policy Decision-Making, 2002.
- Tahirou Yaro Sadek, The Role of the International Monetary Funds in the East Asian Debt Crisis of 1997, 2013.
<http://cornerstone.lib.mnsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1008&context=jur>
- Zavadjil Milan, IMF Survey: Indonesia: Sustaining the Recovery, 2007
<https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/socar1010a>
- IMF: Theories in international Relations, March 2015.
<https://www.ukessays.com/essays/politics/applying-theories-in-international-relations-to-the-imf-politics-essay.php>
- Success and Failures of IMF, <https://www.slideshare.net/OluwabunmiRosemaryAf/success-and-failures-of-imf-47780296>

- International Monetary Found, Independent Evaluation Office, 1989-2004.
<http://www.imf.org/External/NP/ieo/2005/jor/eng/pdf/report.pdf>
- Political Science, Decision-Making Theory: Definition, Nature and the Theories.
<http://www.politicalsciencenotes.com/articles/decision-making-theory-definition-nature-and-theories/743>

დახარბოი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nato Javakhishvili

The Reasons for the Inefficiency of the Assistance Provided by IMF to
the Developed Countries: Cases of Ethiopia, Indonesia and Thailand

Master's Research is Prepared to Obtain a Master's Degree in
Diplomacy and International Politics

Supervisor: Tornike Turmanidze

Associate Proffesor

Tbilisi, 2017